სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/369

ქ. თბილისი

2 დეკემბერი 2019

სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი გიორგი ბიბილეიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის №01-05-02/25 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეულზე;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**